



# საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



4100, ქ. სენაკი ი. ჭავჭავაძის ქ. №103  
103, I. Tchavtchavadze Str., Senaki, Georgia

Tel.: (0 413) 27 75 47 Fax.: (0 413) 27 51 50  
E-mail: senakis-gamgeoba@posta.ge  
Web address: www.senaki.ge

№342

17 აპრილი 2015 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შექმნილ იქნას სენაკის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფი (შემდგომში –სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) დალი ქაჩიბაია – სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი, ჯგუფის მდივანი;

ბ) რუსუდან მიქაძე – სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების, დაგეგმვის და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

გ) ირაკლი საჯაია – სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის სივრცითი მოწყობის, ურბანული განვითარების და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

დ) ნატალია ხუბუა – სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;


ე) გელა ჯანაშია – სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი;

ვ) გიორგი გაბედავა – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;

ზ) ელისო ცაგურია – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ე) თამარ სალაყაია – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი;

ზ) ზურაბ წურწუშია – ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის“ დირექტორი.





2. სამუშაო ჯგუფმა რეგულარულად განიხილოს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვითი საკითხები; ანგარიშები; სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე გარემოსდაცვითი, კლიმატის ცვლილებასთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროექტები და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოიტანონ გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ხელი შეუწყონ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას სენაკის მუნიციპალიტეტში და აამაღლონ გარემოსდაცვით სექტორში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ქმედებების და დახარჯული რესურსების ეფექტიანობას. სამუშაო ჯგუფი განხორციელებს სხვადასხვა ინიციატივებს შორის კოორდინაციას და უზრუნველყოფს განხორციელებული ქმედებების შედეგების მდგრადობას. სამუშაო ჯგუფმა ხელი შეუწყოს სენაკის მუნიციპალიტეტის ჩართულობას ეროვნულ დონეზე შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებას და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებას. სამუშაო ჯგუფმა თვითნაირი კომპეტენციის და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების ჩარჩო სამოქმედო გეგმების შექმნა პროექტის „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)“ ფარგლებში. სამუშაო ჯგუფმა სხვა მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფებთან ერთად შეიმუშაოს გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების საკითხებზე თვითმმართველი ერთეულების ჩარჩო სამოქმედო გეგმა, რომელსაც წარუდგენენ გამგებელს საკრებულოში წარსადგენად და რეკომენდაციებთან ერთად შესაბამის ეროვნულ უწყებებს. სამუშაო ჯგუფმა ხელი შეუწყოს სამოქმედო გეგმების განხორციელებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მოახდინონ მათი განხორციელების მონიტორინგი. სამუშაო ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწიოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელს და საკრებულოს, ასევე სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარს გადაწყვეტილების მიღებაში ამა თუ იმ გარემოსდაცვით საკითხებზე თუ პროექტზე.

3. სამუშაო ჯგუფის მდივანი წარმოადგენს კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე საკონტაქტო პირს დაინტერესებული მხარეებისათვის, დონორებისთვის, სამინისტროებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციისთვის. მდივანი უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხებზე მასალების, ანგარიშების, დოკუმენტების მომზადებას როგორც კომისიისათვის, ასევე გამგებლისთვის და საკრებულოსთვის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად. მდივანმა ამასთანავე უზრუნველყოს სენაკის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვით საკითხებზე მიმდინარე ყველა პროექტის თუ ინიციატივის აღრიცხვა, ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას და შეაფასოს ამ პროექტების წარმატებულობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, აგრეთვე შეაგროვოს ინფორმაცია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები.

4. სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართოს კვარტალში ერთხელ და საჭიროებისამებრ. დღის წესრიგი სამუშაო ჯგუფების წევრებთან წინასწარ შეთანხმდეს 2 კვირით ადრე.

5. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

6. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. N247).

მუნიციპალიტეტის გამგებელი



*[Handwritten signature]*



გოჩა დგებუაძე